

მეხუთე სექცია

საქმე „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი N 5631/16)

გადაწყვეტილება

მუხლი 11 (+10) • მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება • მომჩივნების დაკავება და მსჯავრდება საზოგადოებრივი მანიფესტაციის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, კერძოდ, ხელში უხამსი ლოზუნგიანი ბანერების დაჭერა • შიდა სასამართლოების წარუმატებლობა, რომ განეხილათ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მომჩივნის ქცევით გამოწვეული ხელის შეშლის დონე ან საკმარისი მიზეზების ვერუზრუნველყოფა ჩარევის აუცილებლობის გასამართლებლად • მიმდინარე სამშენებლო პროექტის მიმართ არსებითი უკმაყოფილების გამოსახატად გაკეთებული სადავო განცხადების ვულგარული ხასიათი ზედმეტად ემიჯნება მის კონტექსტს და მიზანს

სტრასბურგი

2022 წლის 15 დეკემბერი

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული გარემოებების შემთხვევაში. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეზე „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს“ (მეხუთე სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

სიოფრა ო'ლირი, თავმჯდომარე,
არნფინ ბარდსენი,
სტეფანი მოურუ-ვიკსტრომი,
ლეთიფ ჰუსეინოვი,
ლადო ჭანტურია,

მატიას გიომარი,
მიკოლა გნატოვსკი, მოსამართლეები
და ვიქტორ სოლოვეიჩიკი, სექციის განმწესრიგებელი,

გაითვალისწინა რა:

საჩივარი (N 5631/16), რომელიც შეტანილ იქნა საქართველოს წინააღმდეგ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე 2016 წლის 12 იანვარს დანართში ჩამოთვლილი საქართველოს შვიდი მოქალაქის მიერ;

გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობისთვის (შემდგომში „მთავრობა“) საჩივრის შეტყობინების შესახებ, კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლის შესაბამისად და საჩივრების დანარჩენი ნაწილის მიუღებლად გამოცხადების შესახებ;

მხარეთა დაკვირვებები;

2022 წლის 13 სექტემბრისა და 22 ნოემბრის დახურული თათბირის შემდეგ

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

შესავალი

1. საქმე ეხება მომჩივნების საჩივრებს კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, რომ მათი დაკავება საჯარო მანიფესტაციის დროს და მათი მსჯავრდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის წარმოადგენდა მათი გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევას.

ფაქტობრივი გარემოებები

2. მომჩივნების სახელები და მათი დაბადების თარიღები მოცემულია დანართში. მათ სასამართლოში წარმოადგენდა ოთხი ქართველი ადვოკატი (ქ-ნი თ. აბაზაძე, ქ-ნი თ. დეკანოსიძე, ქ-ნი ქ. შუბაშვილი და ქ-ნი ნ. ჯომარჯიძე) და სამი ბრიტანელი ადვოკატი (ქ-ნი ჯ. სოიერი, ქ-ნი ჯ. გავრონი და ბ-ნი პ. ლიჩი).

3. საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ბ. ძამაშვილი.

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

ზოგადი ინფორმაცია

5. 2014 წელს საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა, კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდმა, რომელიც დაარსდა 2013 წელს საქართველოში დიდი კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, წარმოადგინა მშენებლობის პროექტი ქალაქის ოთხი ახალი სივრცის ასაშენებლად სოლოლაკის ქედზე, რომელიც გადაჰყურებს თბილისის ისტორიულ ნაწილს (შემდგომში „ძველი ქალაქი“), რომელშიც უნდა შესულიყო სასტუმროები, აპარტამენტები მომსახურებით, ოფისები, საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზები, ჯანმრთელობისა და გასართობ-დასასვენებელი ცენტრები, ისევე როგორც ყველა საჭირო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, გზები, საბაგიროები, დახრილი ლიფტები და პარკირების ადგილები. სამშენებლო პროექტი ოფიციალურად იყო წარდგენილი, როგორც „პანორამა თბილისი“.

6. საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი იყო საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბ. ი., რომელიც საჯაროდ ემხრობოდა პანორამა თბილისის მშენებლობას.

7. მას შემდეგ, რაც პანორამა თბილისის პროექტი გამოცხადდა, მისმა მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც იყვნენ სხვადასხვა სოციალური და პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლები, როგორცაა გარემოს დაცვის აქტივისტები, ურბანისტები და არქიტექტორები დაიწყეს შეშფოთების გამოხატვა, რომ სამშენებლო სამუშაოებმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ძველი ქალაქის ლანდშაფტის უნიკალურობას. მოწინააღმდეგეები ასევე შეშფოთებული იყვნენ იმით, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საზოგადოებასთან კონსულტაცია ან საზოგადოების ჩართვა პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2015 წლის 19 ივლისის ინციდენტი

8. 2015 წლის ივლისში თბილისმა უმასპინძლა ევროპის ახალგაზრდულ ზაფხულის ოლიმპიურ ფესტივალს. თბილისის მერიის შესასვლელთან ოლიმპიური ცეცხლი განთავსებული იყო 2015 წლის 17 ივლისიდან 2015 წლის 26 ივლისს გახსნის ცერემონიამდე. მას დღის განმავლობაში ტრადიციულ ქართულ სამოსში გამოწყობილი ორი მოზარდი იცავდა და ახალგაზრდების ხშირი შეხვედრის ადგილად იქცა.

9. 2015 წლის 19 ივლისს მომჩივნები ასობით სხვა თანამოაზრე პირთან ერთად შეიკრიბნენ თბილისის მერიის წინ, მას შემდეგ, რაც წინასწარი შეტყობინება გაუგზავნეს მუნიციპალურ ხელისუფლებას „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ საპროტესტო აქციის გამართვის განზრახვის შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მშენებლობის ნებართვა 2015 წლის 16 ივლისს იყო გაცემული. უშუალოდ მანიფესტაციის დაწყებამდე ამ ადგილზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაზე

პასუხისმგებელმა პოლიციელმა პირველ მომჩივანს (ქალბატონ ფერადეს), საპროტესტო ღონისძიების მთავარ ორგანიზატორს, მისცა კონკრეტული მითითებები, თუ როგორ არ უნდა დაერღვია მშვიდობიანი და წესიერი ქცევის ფარგლები, გააცნო რა მას „უწესრიგო ქმედებების“ ჩადენის შესაძლო სამართლებრივი შედეგები.

10. მანიფესტაცია 17:00 საათზე დაიწყო და მოიცვა ოლიმპიური ცეცხლის მიმდებარე მთელი ტერიტორია. გამპროტესტებლების უმრავლესობას ეჭირა ბანერები ლოზუნგებით, როგორცაა „არა პანორამას!“, „სოლოლაკის ქედი თბილისის მთავარი იდენტობაა!“ და „ჩვენ არ გავჩერდებით!“.

11. მეორე მომჩივანს (ბატონ მაქარაშვილს), რომელიც ჯერ კიდევ სხვა მოპროტესტეებს შორის იდგა, ეჭირა ბანერი წარწერით, რომელიც ამსგავსებდა „პანორამა თბილისს“ ადამიანის პენისს, ამ უკანასკნელის ქართულ სასაუბრო ენაში არსებული ყველაზე უხამსი სინონიმის გამოყენებით: „პანორამა არა, ყლე!“.

12. ვიდრე მეორე მომჩივანი უძრავად იდგა თავისი ბანერით, პოლიცია მის ქცევას დაახლოებით ორმოცდაათი წუთის განმავლობაში ითმენდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც მან თავისი ბანერით დაიწყო მიმოსვლა თბილისის მერიის შესასვლელთან და ოლიმპიურ ცეცხლთან, გამვლელების ყურადღების მიქცევის მიზნით, რომელთა შორის იყვნენ არასრულწლოვანი ბავშვები, პოლიციამ ის დააკავა.

13. მეორე მომჩივნის დაკავების ოქმის თანახმად, ის დააკავეს 2015 წლის 19 ივლისს, 17:50 საათზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ეჭირა ბანერი ზემოაღნიშნული უხამსი წარწერით. დაკავების ოქმში ასევე აღნიშნული იყო, რომ ის სკანდირებდა იმავე ლოზუნგს, როდესაც მას მიუახლოვდნენ პოლიციელები.

14. მეორე მომჩივნის დაკავებას მოჰყვა სოლიდარობის სპონტანური აქტი. დანარჩენმა ექვსმა მომჩივანმა (ქ-ნი ფერაძე, ქ-ნი მალაშევსკი-ჯაყელი, ბ-ნი ჩაჩანიძე, ბ-ნი ქარელი, ქ-ნი მამულაშვილი და ბ-ნი მგალობლიშვილი) მყისიერად დაწერა იგივე ლოზუნგი – „პანორამა, არა ყლე!“ – ქალაქის ფურცლებზე და მათ დემონსტრაციულად დაიწყეს ამ იმპროვიზებული ბანერების ფრიალი პოლიციის წინაშე. ერთ-ერთ ბანერზე იყო ოდნავ შეცვლილი წარწერა, რომელზეც უშუალოდ ბ.ი.-ის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის (იხ. პარაგრაფი 6 ზემოთ) მისამართით იყო გამოყენებული შესაბამისი უხამსი ტერმინი. პოლიციის ჩანაწერების თანახმად, ექვსი მომჩივანი დაკავებული იქნა 18:00 საათზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე. მეშვიდე მომჩივანს (ბ-ნი მგალობლიშვილს) ასევე წაუყენეს ბრალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის შესაბამისად, პოლიციის კანონიერი ბრძანებების დაუმორჩილებლობის საფუძველით, საჯაროდ უხამსი სკანდირების არშეწყვეტის გამო.

15. მას შემდეგ, რაც მომჩივნები პოლიციის მიერ გაყვანილი იქნენ მოვლენების განვითარების ადგილიდან, ყველა დანარჩენ მონაწილეს შეეძლო მანიფესტაციის გაგრძელება ისე, როგორც დაგეგმილი იყო.

სასამართლო პროცესი

16. 2015 წლის 20 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაიწყო მომჩივნების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ბრალდების განხილვა. აღნიშნულმა სასამართლომ მოუსმინა პირადად ყველა მათგანს, პოლიციელებს, რომლებმაც დააკავეს ისინი და ორ მოწმეს, რომლებიც გამოიძახეს სასამართლო პროცესზე მომჩივნების სახელით ჩვენების მისაცემად. გარდა ამისა, სასამართლომ შეისწავლა 2015 წლის 19 ივლისის მანიფესტაციის მიმდინარეობისას მომჩივნების დაკავების წინმსწრები გარემოებების ვიდეოჩანაწერები.

17. დაკითხულმა პოლიციელებმა განაცხადეს, რომ მეორე მომჩივნის დაკავების არანაირი განზრახვა არ ჰქონიათ, ვიდრე ის უძრავად იდგა თავისი ბანერით. ისინი მართლა შეშფოთდნენ მისი საქციელით მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან დაიწყო მოძრაობა ბანერით მანიფესტაციის ჩატარების მთელ ტერიტორიაზე, რამაც ბანერის შინაარსი ყველა გამვლელისთვის თვალსაჩინო გახადა, მათ შორის, ოლიმპიური ცეცხლის ირგვლივ შეკრებილი ახალგაზრდებისთვისაც (იხ. პარაგრაფები 11 და 12 ზემოთ). რაც შეეხება დანარჩენ ექვს მომჩივანს, პოლიციელებმა განაცხადეს, რომ მათ რამდენჯერმე გააფრთხილეს ისინი, რომ არ გაემეორებინათ მეორე მომჩივნის საქციელი, იმეორებდნენ რა, რომ

ბავშვების ჯგუფი იდგა ახლოს. თუმცა, ექვსმა მომჩივანმა არა მხოლოდ უგულვებლყო განმეორებითი გაფრთხილებები, მათ კიდევ უფრო პროვოკაციულად დაიწყეს ბანერების ფრიალი და პოლიციის საპატრულო მანქანების საქარე მინებზე იგივე უხამსი წარწერიანი ქაღალდის ფურცლების დადება.

18. მომჩივნებმა სასამართლოს მიერ დაკითხვისას აღიარეს, რომ მანიფესტაციის დროს ხელში ეჭირათ ან სრული ზომის ბანერები ან ქაღალდის ფურცლები, რომლებიც შეიცავდა აღნიშნულ უხამს ტერმინს. მათ განმარტეს, რომ ისინი გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ, გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელების ფარგლებში. მეორე მხრივ, მათ უარყვეს ლოზუნგის ხმამაღლა სკანდირება. რაც შეეხება მომჩივნების სახელით დაკითხულ ორ მოწმეს (იხ. პარაგრაფი 16-ზემთ), მათ განაცხადეს, რომ მათ არ გაუგონიათ მომჩივნების მიერ რაიმეს სკანდირება.

19. თბილისის საქალაქო სასამართლომ შეისწავლა 2015 წლის 19 ივლისის ინციდენტის ირგვლივ არსებული ვიდეოჩანაწერები (ამ ჩანაწერების ასლი ასევე გადაეცა სასამართლოს). ზოგიერთ ამ ჩანაწერზე შეიძლებოდა ბავშვების დანახვა, რომლებიც იდგნენ მომჩივნებთან ახლოს, რომლებსაც მშვიდად ეჭირათ უხამსი წარწერიანი ქაღალდის ფურცლები. ერთ-ერთმა ჩანაწერმა დააფიქსირა დიალოგი მომჩივნებსა და პოლიციელებს შორის, რომელშიც პოლიციელის მოთხოვნის საპასუხოდ, რომ ძირს დაეშვათ ბანერები ისე, რომ არ დაენახათ იქვე მდგომ ან გამვლელ ბავშვებს, ისმოდა, რომ ზოგიერთი მომჩივანი ამბობდა: „ოჰ, ჰო? ამ ბავშვებს ალბათ კითხვაც კი არ შეუძლიათ!“ და „დაგვიჭირეთ! [ჰენისის ზემოაღნიშნული სინონიმი] ადამიანის ერთ-ერთი ორგანოა, ისევე როგორც ცხვირი!“.

20. 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლომ შვიდივე მომჩივანი დამნაშავედ ცნო უწყსრიგო ქმედებებში, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი იდგნენ ჩუმად და ხელში ეჭირათ ზემოაღნიშნული უხამსი ლოზუნგიანი ბანერები, მაგრამ გაამართლა მეშვიდე მომჩივანი პოლიციის კანონიერი ბრძანებების დაუმორჩილებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში. სასამართლომ დააკონკრეტა, რომ სასამართლო პროცესის დროს შესწავლილი საქმის მასალები გონივრულ ეჭვის მიღმა ვერ ადასტურებდა, რომ რომელიმე მომჩივანი სკანდირებდა უხამს ლოზუნგს ან, რომ რომელიმე მათგანის მიმართ გაცემული იყო პოლიციელების კანონიერი ბრძანებები, მაგრამ ის არ დაემორჩილა მათ.

21. მანიფესტაციის მიმდინარეობისას შვიდი მომჩივნის მიერ ხელში დაკავებულ ბანერებსა და ფურცლების ინციდენტთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ დაიწყო მსჯელობა იმ ფაქტის აღიარებით, რომ მომჩივნები მოქმედებდნენ კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების ფარგლებში, მაგრამ ეს უფლებები შეიძლება დაექვემდებაროს პროპორციულ ჩარევას, რომელსაც უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზანი და იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. რაც შეეხება კანონიერების საკითხს, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი პირდაპირ ვრცელდებოდა მომჩივნების სიტუაციაზე, რადგან დებულება ცალსახად აცხადებდა საჯაროდ გინებას უკანონოდ (იხ. პარაგრაფი 23 ქვემთ). ამის შემდეგ საქალაქო სასამართლომ მიუთითა საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დაცვის აუცილებლობაზე, როგორც განსახილველი ჩარევის ლეგიტიმურ მიზანზე. რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა მომჩივნებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება ჩაითვალოს საჭიროდ დემოკრატიულ საზოგადოებაში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მომჩივნები აღწერდნენ უხამს ტერმინს როგორც „სრულ უხამსობას“, რომელიც მოკლებულია რაიმე პოლიტიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულებას“. უხამსობა არ შეიძლება ხელს უწყობდეს საჯარო დებატების ცივილიზებულად წარმართვას და, შესაბამისად, შეიძლება ლეგიტიმურად შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის (საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ) მე-9(1) მუხლის შესაბამისად, მომჩივნების გამოხატვის თავისუფლების უფლებისათვის დიდი ზიანის მიყენების გარეშე. სასამართლომ ასევე დააზუსტა, რომ აღნიშნული უხამსი ტერმინი ქართულ საზოგადოებაში განიხილებოდა „განსაკუთრებით შეურაცხმყოფელ შეურაცხყოფად“. შემდეგ მან აღნიშნა, რომ „ის, თუ როგორ არის უხამსი სიტყვის შემცველი სასაუბრო გამოთქმის სტრუქტურა შედგენილი, მიუთითებს, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გაგებელი, როგორც რაიმე კონკრეტული აზრის გადმოცემა მოცემული თემის [„პანორამა თბილისის“ სამშენებლო პროექტის] შესახებ. ამგვარად, აღნიშნული გამოთქმის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ [შეუძლია] მიმდინარე საჯარო დებატებში წვლილის შეტანა. გამოთქმა [იყო] შინაარსისგან დაცლილი, რაიმე მნიშვნელობის გარეშე, ხოლო ერთადერთი

შესაძლო მიზეზი, რის გამოც მან მიიპყრო ყურადღება, იყო უხამსობის დონე, რომელსაც ის ატარებდა. ამრიგად, სასამართლომ განაგრძო, რომ მომჩივნებისთვის სანქციების დაკისრებით პოლიცია მხოლოდ იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, ისევე როგორც იმ ბავშვების ზნეობასა და ინტერესებს, რომლებიც მანიფესტაციის მიმდინარეობის ადგილთან ახლოს იდგნენ. შეაფასა რა საქმის გარემოებები, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ჯარიმა 100 ლარის (დაახლოებით 40 ევრო) ოდენობით საკმარისი პასუხისმგებლობის ზომა იქნებოდა თითოეული მომჩივნისთვის.

22. მომჩივნებმა გაასაჩივრეს 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, მაგრამ მათი სააპელაციო საჩივრები არ დააკმაყოფილა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 7 და 11 სექტემბერს. სააპელაციო სასამართლომ მთლიანად უცვლელი დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება. კერძოდ, მან დაადასტურა, რომ ეს იყო „კარგად დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში საჯაროდ გინების ან საჯარო გარემოში ჩადენილი სხვა უხამსი ქმედებების მიმართ“ (იხ. ასევე პარაგრაფი 23 ქვემოთ). შემდეგ მან განაგრძო და აღნიშნა, რომ მომჩივნების მიერ უხამსი სიტყვის ჩვენების ფაქტი საჯარო მანიფესტაციის დროს მათ თავად სადავო არ გაუხდიათ. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა მომჩივნების ქცევა დაცული მათი მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლომ უკვე დაწვრილებით შეამოწმა შესაბამისი კონკურენტული ინტერესები, ხოლო აღნიშნულს არ გამოუვლენია რაიმე მიზეზი, რომ არ დათანხმებოდა აღნიშნული სასამართლოს შედეგებს.

შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო

23. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლში ვკითხულობთ:

წვრილმანი ხულიგნობა

წვრილმანი ხულიგნობა – საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

24. გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის პირველი მუხლის (ვ) პუნქტით „უხამსობა“ განსაზღვრულია, როგორც „განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს“. იმავე კანონის მე-9(1)(ბ) მუხლი დამატებით ადგენს, რომ უხამსი შინაარსი შეიძლება დარეგულირდეს და გამოირიცხოს გამოხატვის თავისუფლების დაცვის მოქმედების სფეროდან.

კანონმდებლობა

კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების სავარაუდო დარღვევა

25. მომჩივნები ჩიოდნენ, რომ მათი დაკავება საჯარო მანიფესტაციის დროს და მსჯავრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო, წარმოადგენდა მათი გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლების ხელყოფას, კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევით. ამ დებულებების შესაბამის ნაწილებში ვკითხულობთ:

მუხლი 10

„1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება... საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...“

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად...”

მუხლი 11

„1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება...”

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად...”

მისაღებობა

26. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნებმა ვერ ამოწურეს არსებული შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რადგან მათ არც უჩივლიათ პოლიციის წინააღმდეგ, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად და არც სისხლისსამართლებრივი საჩივარი შეუტანიათ მის წინააღმდეგ. მათ ასევე მოკლედ განაცხადეს, ყოველგვარი დამატებითი არგუმენტების წარმოდგენის გარეშე, რომ საჩივარი უნდა იქნეს უარყოფილი, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის შესაბამისად, რაიმე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების არარსებობის გამო.

27. მომჩივნებმა უპასუხეს, რომ მათ წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება იყო საკმარისი საფუძველი მათი სასარჩელო მოთხოვნების წარსადგენად, კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად. ისინი ასევე არ დაეთანხმნენ მთავრობის შედავებას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის შესაბამისად.

28. სასამართლო იმეორებს, რომ როდესაც არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალებების არჩევანი, ამოწურვის მოთხოვნა უნდა იქნეს გამოყენებული მომჩივნის პოზიციის პრაქტიკული რეალობის ასახვად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების ქმედითი დაცვა. მომჩივანს, რომელმაც გამოიყენა სამართლებრივი საშუალება, რომელიც, როგორც ჩანს, ეფექტური და საკმარისია, არ შეიძლება მოეთხოვოს, რომ მას უნდა ეცადა სხვა სამართლებრივი საშუალებები, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ სავარაუდოდ, არ იქნებოდა წარმატებული (იხ. მრავალ სხვა წყაროთა შორის, საქმე *Adamski v. Poland* (dec.), no. 6973/04, 2009 წლის 27 იანვარი). იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნების უფლებები კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად საფუძვლად ედო მათ დაცვას მათ წინააღმდეგ განხორციელებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოებისას, რომლის დროსაც მათ მიეცათ სათანადო შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ სადავო მსჯავრდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, მათი გაკიცხვა არ შეიძლება იმის გამო, რომ არ მიმართეს დახმარებისთვის მთავრობის მიერ მითითებულ სამართლებრივი ან სისხლისსამართლებრივი დაცვის სხვა ორ საშუალებას (შედარებისთვის იხილეთ საქმე *Amaghlobeli and Others v. Georgia*, no. 41192/11, § 23, 2021 წლის 20 მაისი; საქმე *Tuskia and Others v. Georgia*, no. 14237/07, §§ 58 და 60, 2018 წლის 11 ოქტომბერი; და საქმე *Tsvetkova and Others v. Russia*, nos. 54381/08 და 5 სხვა, § 97, 2018 წლის 10 აპრილი). აქედან გამომდინარე, მთავრობის პრეტენზია აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა იქნეს უარყოფილი.

29. რაც შეეხება მთავრობის პრეტენზიას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ის დაუსაბუთებელია. მათ არ განუმარტავთ, თუ რატომ ჩათვალეს, რომ მომჩივნებს არ მიადგათ რაიმე მნიშვნელოვანი ზიანი (შედარებისთვის იხილეთ, მაგალითად, საქმე *Amaghlobeli and Others v. Georgia*, no. 41192/11, § 24, 2021 წლის 20 მაისი). გარდა ამისა, არ ყოფილა რაიმე წარდგინებები შესაბამის დებულებაში არსებულ ორ „დამცავ დათქმასთან“ დაკავშირებით. აღნიშნავს რა წინამდებარე საქმეში წამოჭრილი საკითხების ხასიათს, რომელიც შესაძლებელია, ასევე ეხებოდეს მნიშვნელოვან პრინციპულ საკითხებს კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად და ასევე კონვენციით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებებით სარგებლობის შეზღუდვის მოქმედების

სვეროს (იმავე წყაროში, § 24, და ასევე საქმე *Berladir and Others v. Russia*, no. 34202/06, § 34, 2012 წლის 10 ივლისი), სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია წინამდებარე საჩივრის უარყოფა კონვენციის 35§3(b)-ე მუხლის მითითებით.

30. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საჩივრები არც აშკარად დაუსაბუთებელია ან მიუღებელია კონვენციის 35-ე მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე სხვა საფუძველით. ამიტომ ისინი მისაღებად უნდა გამოცხადდეს.

საქმის არსებითი მხარე

მხარეთა არგუმენტები

31. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ჩარევა მათ გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლების უფლებებში, რამაც მიიღო მათი სანქციების ფორმა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, არ იყო „კანონით დადგენილი“ კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების მნიშვნელობის ფარგლებში. მათ წინასწარ არ შეეძლოთ განჭვრეტა, რომ ხელში შესაბამისი წარწერებიანი ბანერების მშვიდობიანად დაჭერას, მათზე დატანილი ლოზუნგების ხმამაღლა ყვირილის გარეშე, შეეძლო გამოეწვია მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა ზედმეტად ფართოდ განმარტეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი, როდესაც გამოიყენეს ეს დებულება, როგორც მათთვის სანქციების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. მომჩივნები ასევე აცხადებდნენ, რომ ჩარევას არ ჰქონდა რაიმე ლეგიტიმური მიზანი და არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. მათ განაცხადეს, რომ პოლიციას შემწყნარებლური დამოკიდებულება უნდა გამოეჩინა დაწერილი ჟარგონული სიტყვის მიმართ, რადგან ამ ტიპის გამოთქმის მიზანი 2015 წლის 19 ივლისის მანიფესტაციაზე იყო კომპეტენტური ეროვნული ორგანოების ყურადღების მიქცევა იმ გამჭვირვალობის არარსებობაზე, რომლითაც ხორციელდებოდა „პანორამა თბილისი“. ჟარგონული ტერმინის გამოყენება მიზნად ისახავდა საჯარო დებატების ხელშეწყობას და სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით მომჩივნების ძლიერი წინააღმდეგობის გამოხატვას. რაც შეეხება კონკურენტულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დამყარებას, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს შეზღუდვის თანაზომიერება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედებთან მიმართებით, კერძოდ, გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მათი შესაბამისი უფლებები არ უნდა შეეზღუდათ საზოგადოებრივი ზნეობის აბსტრაქტული ცნების დასაცავად. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ მათზე დაკისრებული ჯარიმები იყო არაპროპორციული სასჯელი. მათი დაჯარიმების ნაცვლად, პოლიციას შეეძლო, მომჩივნების აზრით, უბრალოდ ჩამოერთმია ბანერები. დაბოლოს, აღიარებდნენ რა მომჩივნები, რომ ჟარგონული ტერმინი იყო არათავაზიანი და გარკვეულწილად შეურაცხმყოფელი, ამავდროულად ეჭვქვეშ აყენებდნენ მისი უხამსობის ხარისხს, აცხადებდნენ რა, რომ ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენებოდა საქართველოში სასაუბრო ენაში ვინმეს ან რაღაცის შეურაცხყოფისთვის ან უბრალოდ უკმაყოფილების ემოციური ფორმით გამოხატვის მიზნით. ამ მიმართებით, მათ ასევე სთხოვეს სასამართლოს, გაეღო პარალელები სასამართლოს გადაწყვეტილებასთან საქმეზე *Kakabadze and Others v. Georgia* (N 1484/07, §§ 84-93, 2012 წლის 2 ოქტომბერი), სადაც დადგინდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა, მომჩივნების გაგებით, მომჩივნებისთვის სანქციების დაკისრების გამო, რომლებიც იმდროინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს „ლავრენტი ბერიას ნაბიჭვრად“ მოიხსენიებდნენ.

32. აღიარა რა, რომ მომჩივნების მსჯავრდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებაში უტოლდებოდა მათ უფლებებში ჩარევას კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, მთავრობამ განაცხადა, რომ ჩარევა იყო „კანონით დადგენილი“, მიუთითა რა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლსა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-9(1) მუხლზე და ემსახურებოდა, როგორც ეს ცალსახად აღინიშნა ეროვნულმა სასამართლოებმა (იხ. პარაგრაფი 21 ზემოთ), ზნეობის ან/და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. მათ დაამატეს, რომ ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, შემდეგი მიზეზების გამო. პირველი, მთავრობამ მიუთითა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა განიხილეს საკითხი სრულიად შეჯიბრებითობის გზით, მომჩივნების, პოლიციელებისა და ასევე ორი დამოუკიდებელი მოწმის მოსმენის შემდეგ (იხ. პარაგრაფები 16-20 ზემოთ) და გამოიტანეს გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავდა შესაბამის და საკმარის მიზეზებს მომჩივნებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დასაკისრებლად. მეორე, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პოლიციამ აჩვენა შემწყნარებლობის საკმარისი დონე, როდესაც მეორე მომჩივანს ნება დართო, გამოეფინა ბანერი უხეში ტერმინით თითქმის ერთი საათის განმავლობაში, სანამ ის უძრავად იდგა და

მისი დაკავების გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როდესაც მან დაიწყო მოძრაობა მანიფესტაციის ჩატარების ადგილზე, იქცევდა რა საზოგადოების უფრო მეტ ყურადღებას ბანერისკენ. რაც შეეხება დანარჩენ ექვს მომჩივანს, ისინი სათანადოდ გააფრთხილა პოლიციამ, რომ მათი საქციელი შეურაცხმყოფელი იყო საზოგადოებისთვის და მოსთხოვა მათ, იმპროვიზებული ბანერები განეთავსებინათ ოლიმპიური ცეცხლის მახლობლად მდგომი ახალგაზრდების თვალთახედვის მიღმა (იხ. პარაგრაფები 8, 12 და 17 ზემოთ). მესამე, მთავრობა დავობდა, რომ, რადგან ზნეობის დაცვის ლეგიტიმური მიზანი იყო სასწორზე, ეროვნულ ხელისუფლების ორგანოებს უფრო ჰქონდათ ქართულ საზოგადოებაში ზნეობის კონცეფციის თავისებურებების შეფასების შესაძლებლობა და, აქედან გამომდინარე, ამ ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ ფართო შეფასების თავისუფლება მანიფესტაციის დროს მომჩივნების მიერ გამოყენებული ენის უხამსობის დონის დადგენისას. დაბოლოს, მთავრობამ ასევე სთხოვა სასამართლოს, ჩარევის თანაზომიერების შეფასებისას გაეთვალისწინებინა ეროვნული სასამართლოების მიერ დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის ძალიან რბილი ხასიათი.

სასამართლოს შეფასება

მომჩივანთა საჩივრების სამართლებრივი კლასიფიკაცია

33. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნების საჩივრები კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით ეფუძნება ერთსა და იმავე ფაქტებსა და ბრალდებებს, კერძოდ, მათ დააკისრეს სანქციები იმ ბანერების შინაარსის გამო, რომლებიც მათ ხელში ეჭირათ მანიფესტაციის დროს. ასეთ გარემოებებში მე-11 მუხლი უნდა განიხილებოდეს, როგორც სპეციალური კანონი და არ არის აუცილებელი მე-10 მუხლის შესაბამისად საჩივრის ცალკე განხილვა (შედარებისთვის იხილეთ საქმე *Kemal Çetin v. Turkey*, no. 3704/13, § 26, 2020 წლის 26 მაისი და საქმე *Ekrem Can and Others v. Turkey*, no. 10613/10, § 68, 2022 წლის 8 მარტი). ამავდროულად, მისი ავტონომიური როლისა და გამოყენების კონკრეტული სფეროს მიუხედავად, მე-11 მუხლი ასევე უნდა განიხილებოდეს მე-10 მუხლის გათვალისწინებით, რადგან წინამდებარე საქმეში შეკრების თავისუფლების განხორციელების მიზანი იყო პირადი მოსაზრებების გამოხატვა, ასევე საჯარო დებატებისა და პროტესტის ღია გამოხატვის ფორუმის უზრუნველყოფის საჭიროება (იხ. საქმე *Kudrevičius and Others v. Lithuania* [GC], no. 37553/05, §§ 85-86, ECHR 2015).

ზოგადი პრინციპები

34. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევა წარმოადგენს მე-11 მუხლის დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის „კანონით არის დადგენილი“, ემსახურება ერთ ან მეტ ლეგიტიმურ მიზანს მე-2 პუნქტის შესაბამისად და „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ შესაბამისი მიზნის ან მიზნების მისაღწევად (იხ. საქმე *Laguna Guzman v. Spain*, no. 41462/17, § 44, 2020 წლის 6 ოქტომბერი). შეკრების თავისუფლების უფლება, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი, ექვემდებარება მრავალ გამონაკლისს, რომელიც ზედმიწევნით განმარტებული უნდა იყოს, ხოლო ნებისმიერი შეზღუდვის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა იყოს დადგენილი. როდესაც განიხილავენ, შეიძლება თუ არა კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა ჩაითვალოს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული, მაგრამ არა შეუზღუდავი თავისუფლებით. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება შეზღუდვების კონვენციასთან თავსებადობის შესახებ და ეს უნდა შესრულდეს კონკრეტული საქმის გარემოებების შეფასებით (იხ. საქმე *Kudrevičius and Others*, ციტირებული ზემოთ, § 142 და საქმე *Mushegh Saghatelyan v. Armenia*, no. 23086/08, § 238, 2018 წლის 20 სექტემბერი).

35. როდესაც სასამართლო ახორციელებს გულდასმით შემოწმებას, მისი ამოცანაა არა საკუთარი შეხედულების ეროვნული ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების შეხედულებით ჩანაცვლება, არამედ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა მე-11 მუხლის შესაბამისად. ეს არ ნიშნავს, რომ ის უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმის გარკვევით, გამოიყენა თუ არა სახელმწიფომ თავისი დისკრეციული უფლებამოსილება გონივრულად, ყურადღებით და კეთილსინდისიერად; მან უნდა განიხილოს გასაჩივრებული ჩარევა კომპლექსურად, მოცემული საქმის გათვალისწინებით და დაადგენს რა, რომ ის ემსახურებოდა „ლეგიტიმურ მიზანს“, განსაზღვროს, სცემდა თუ არა ის პასუხს „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“ და კერძოდ, იყო თუ არა ის თანაზომიერი ამ მიზნისა და იყო თუ არა ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ მის დასასაბუთებლად მოყვანილი მიზეზები „შესაბამისი და საკმარისი“. აღნიშნულის განხორციელებისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნულმა ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც შეესაბამებოდა მე-11 მუხლში

მოცემულ პრინციპებს და, უფრო მეტიც, რომ ისინი თავიანთი გადაწყვეტილებების გამოტანისას ეყრდნობოდნენ შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას. თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს ბალანსის დაცვას, ერთი მხრივ, მე-2 პუნქტში მოთხოვნილ მიზნებსა და, მეორე მხრივ, ქუჩებში ან სხვა საჯარო ადგილებში შეკრებილი პირების სიტყვით, ჟესტით ან თუნდაც დუმილით შეხედულების თავისუფალ გამოხატვას შორის. დაკისრებული სასჯელის ხასიათი და სიმკაცრე ასევე წარმოადგენს ფაქტორებს, რომლებიც გასათვალისწინებელია ჩარევის თანაზომიერების შეფასებისას, განსახორციელებელ მიზანთან დაკავშირებით. როდესაც მანიფესტაციის მონაწილეებისათვის დაკისრებული სანქციები სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა, ისინი განსაკუთრებულ დასაბუთებას მოითხოვს. პრინციპში, მშვიდობიანი მანიფესტაცია არ უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივი სანქციის დაკისრების საფრთხეს და, განსაკუთრებით, თავისუფლების აღკვეთას. ამრიგად, სასამართლომ გულდასმით უნდა შეისწავლოს ის საქმეები, სადაც ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ არაძალადობრივი ქცევისთვის დაწესებული სანქციები ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის სასჯელს (იხ. საქმე *Kudrevičius and Others*, ციტირებული ზემოთ, §§ 143, 144 და 146 და საქმე *Chernega and Others v. Ukraine*, no. 74768/10, § 221, 2019 წლის 18 ივნისი).

36. ნებისმიერმა მანიფესტაციამ საზოგადოებრივ ადგილზე შეიძლება გამოიწვიოს ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობის გარკვეული დონის დარღვევა. ეს ფაქტი თავისთავად არ ამართლებს შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევას, რადგან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა გამოიჩინონ შემწყნარებლობის გარკვეული დონე. შესაბამისი „შემწყნარებლობის დონე“ არ შეიძლება განისაზღვროს აბსტრაქტულად: სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქმის კონკრეტული გარემოებები და, კერძოდ, „ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობის შეფერხების“ მასშტაბი. ამიტომ, გაერთიანებებისთვის და მათთვის, ვინც აწყობს მანიფესტაციებს, როგორც დემოკრატიულ პროცესში მონაწილე სუბიექტებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მათ დაიცვან ამ პროცესის მარეგულირებელი წესები მოქმედი რეგულაციების დაცვის გზით. ორგანიზატორების მიერ ამ წესების განზრახ შეუსრულებლობა და მანიფესტაციის ან მისი ნაწილის ისე ორგანიზება, რომ გამოიწვიოს ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობისა და სხვა აქტივობების ისეთი ხარისხით შეფერხება, რაც აღემატება იმას, რაც გარდაუვალია ამ გარემოებებში, წარმოადგენს ქცევას, რომელიც არ შეიძლება, რომ კონვენციის შესაბამისად სარგებლობდეს ისეთივე პრივილეგირებული დაცვით, როგორც არის პოლიტიკური სიტყვა ან დებატები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, ან ასეთ საკითხებზე მოსაზრებების მშვიდობიანი გამოხატვა. პირიქით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფართო თავისუფლებით ამგვარი ქცევის შესაზღუდად ზომების მიღების საჭიროების შეფასებისას. მანიფესტაციის მონაწილეების მიერ ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობისა და სხვათა მიერ კანონიერად განხორციელებული საქმიანობის განზრახ სერიოზული დარღვევა, როდესაც ასეთი დარღვევა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საზოგადოებრივ ადგილზე მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებით სარგებლობა, შეიძლება ჩაითვალოს „გასაკიცხ ქმედებად“ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში. ამგვარად, ასეთმა ქცევამ შეიძლება გაამართლოს, თუნდაც, სისხლისსამართლებრივი ხასიათის პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება (იხ. საქმე *Kudrevičius and Others*, ციტირებული ზემოთ, §§ 155, 156 და 173).

37. რაც შეეხება პრინციპებს კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, სასამართლო იმეორებს, რომ ეს დებულება გამოიყენება არა მხოლოდ იმ ინფორმაციის ან იდეების მიმართ, რომლებიც აღიქმება დადებითად, ან მიიჩნევა, როგორც უწყინარი ან უმნიშვნელო, არამედ ისეთი ინფორმაციის ან იდეების მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოსთვის ან მოსახლეობის რომელიმე სექტორისთვის (იხ. საქმე *Handyside v. the United Kingdom*, 1976 წლის 7 დეკემბერი, § 49, Series A no. 24). მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პოლიტიკური სიტყვის შეზღუდვის ან საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დებატების შეზღუდვის ფარგლები მცირეა (იხ. საქმე *Bumbeș v. Romania*, no. 18079/15, § 92, 2022 წლის 3 მაისი). რაც შეეხება გამოხატვის ფორმას, სასამართლომ დაადგინა, რომ შეურაცხმყოფელი ენა შეიძლება მოხვდეს გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებს მიღმა, თუ ის წარმოადგენს უმიზეზო შეურაცხყოფას, მაგალითად, როდესაც შეურაცხმყოფელი განცხადების ერთადერთი განზრახვა არის შეურაცხყოფა (იხ. საქმე *Skalka v. Poland*, no. 43425/98, § 34, 2003 წლის 27 მაისი). თუმცა, ვულგარული ფრაზების გამოყენება, თავისთავად, არ არის გადამწყვეტი შეურაცხმყოფელი გამონათქვამის შესაფასებლად, რადგან ის შეიძლება ასევე უბრალოდ სტილისტურ მიზნებს ემსახურებოდეს. როგორც გამოხატვის ფორმა, სტილი წარმოადგენს კომუნიკაციის ნაწილს და როგორც ასეთი, დაცულია გამოხატვის შინაარსთან ერთად (იხ. საქმე *Uj v. Hungary*, no. 23954/10, § 20, 2011 წლის 19 ივლისი).

ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის გარემოებების მიმართ

იყო თუ არა ჩარევა კანონით დადგენილი და ემსახურებოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს

38. სასამართლო აღნიშნავს, რომ აშკარად იყო ჩარევა მომჩივნების შეკრების თავისუფლების უფლებაში, მათ დაკავებასა და ადმინისტრაციულ სახდელთან დაკავშირებით, რომელიც მათ დაეკისრათ 2015 წლის 19 ივლისის მანიფესტაციის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის – ფაქტი, რომელზეც მხარეები არ დავობდნენ.

39. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სადავო ჩარევა იყო აშკარად „კანონით დადგენილი“ კონვენციის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. მომჩივნების ადმინისტრაციული სახდელი ეფუძნებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლს, დებულებას, რომელიც აშკარად კრძალავდა უხამსი ენის გამოყენებას საზოგადოებრივ ადგილზე (იხ. პარაგრაფი 23 ზემოთ). ვინაიდან მომჩივნებს არასოდეს გაუხდიათ სადავო ის ფაქტი, რომ მათ გამოფინეს ჟარგონული სიტყვის შემცველი ბანერები/პლაკატები, რაზეც თავად აღიარებდნენ, რომ წარმოადგენდა შეურაცხმყოფელ სასაუბრო ენას (იხ. პარაგრაფი 31 ზემოთ), სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ მომჩივნებს, გარემოებებიდან გამომდინარე, შეეძლოთ წინასწარ გონივრულ დონეზე განჭვრეტა, რომ მათი ქცევა 2015 წლის 19 ივლისის მანიფესტაციის დროს გამოიწვევდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად. ამრიგად, არაფერი იყო თვითნებური იმ ფაქტში, რომ ხელისუფლების ეროვნული ორგანოები მიუთითებდნენ ამ დებულებაზე, როგორც მომჩივნების წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების საფუძველზე, ხოლო სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, რომ ეჭვქვეშ დააყენოს, აკმაყოფილებდა თუ არა ის კანონის ხარისხის მოთხოვნას კონვენციის შესაბამისად (შედარებისთვის იხილეთ საქმე *Tuskia and Others*, ციტირებული ზემოთ, § 82-85).

40. თავისი საზედამხედველო როლის გათვალისწინებით, სასამართლო ასევე ეთანხმება ეროვნული სასამართლოების დასკვნას, რომ წინამდებარე საქმის გარემოებებში ჩარევა ემსახურებოდა ზნეობისა და სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს (იხ. პარაგრაფი 21 ზემოთ და შედარებისთვის იხილეთ საქმე *Müller and Others v. Switzerland*, 1988 წლის 24 მაისი, § 30, Series A no. 133 და, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, საქმე *Perrin v. the United Kingdom* (dec.), no. 5446/03, ECHR 2005-XI).

იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

41. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნებს „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ მანიფესტაციით სურდათ საზოგადოება და ეროვნული ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები გაეფრთხილებინათ თავიანთი შეშფოთების შესახებ, იმ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც სამშენებლო პროექტს შეიძლება მიეყენებინა ძველი ქალაქის ლანდშაფტისთვის, ასევე, სურდათ, გამოეხატათ თავიანთი უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რაც მათ ხელისუფლების ორგანოების უუნარობად მიაჩნდათ, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს საზოგადოების ჩართვა პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. განაშენიანების ეს სადავო პროექტი აშკარად იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის თემა და ამიტომ, საჭირო იყო ძალიან ძლიერი მიზეზები მანიფესტაციის მიმდინარეობისას მომჩივნების აზრის გამოხატვის შეზღუდვის გასამართლებლად (შედარებისთვის იხილეთ, *Bumbeș*-ის საქმე, ციტირებული ზემოთ § 92, 2022 წლის 3 მაისი, მასში დამატებითი წყაროების მითითებით).

42. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნების მანიფესტაციას ადგილი ჰქონდა ადგილზე, რომელიც ღია იყო საზოგადოებისთვის და რომ მათ დაეკისრათ სანქციები საზოგადოებრივ ადგილზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, სასამართლო აღიარებს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ჩართულ პირებთან უშუალო კონტაქტის მქონე ეროვნული ხელისუფლების ორგანოების დისკრეციის ფარგლებში დარჩა განსაზღვრა იმისა, თუ როგორ უნდა მოეხდინათ რეაგირება მომჩივნების ქცევაზე საჯარო ღონისძიების დროს (იხ. საქმე *Novikova and Others v. Russia*, nos. 25501/07 და 4 სხვა, § 169, 2016 წლის 26 აპრილი). მიუხედავად ამისა, კონვენციის მე-11 მუხლის ზოგადი პრინციპების წინამდებარე საქმეში გათვალისწინებით (რაც შეეჯამებულია პარაგრაფში 36 ზემოთ), სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებში მისი ამოცანა მომჩივანთა საჩივრების განხილვისას (იხ. ასევე პარაგრაფი 33 ზემოთ) არის შეფასება, სათანადოდ ითვალისწინებდა თუ არა მათ პროტესტთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აღნიშნული პროტესტით გამოწვეული „ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობის დარღვევის“ მასშტაბს (იხ. საქმე *Primov and Others v. Russia*, no. 17391/06, § 145, 2014 წლის 12 ივნისი).

43. ამ მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულ სასამართლოებს თავიანთ გადაწყვეტილებებში არ განუხილავთ საკითხი მომჩივნების ქცევით გამოწვეული საზოგადოებრივი ცხოვრების დარღვევის დონის შესახებ და მიიჩნევს, რომ ეს არის კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად თანაზომიერების მოთხოვნის განხილვის ხარვეზი (შედარებისთვის იხილეთ საქმე *Obote v. Russia*, no. 58954/09, § 43, 2019 წლის 19 ნოემბერი). ამ კონკრეტული ასპექტის შესახებ ეროვნული სასამართლოების დუმილის გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეუძლია, არ აღნიშნოს, რომ მომჩივნების დაკავების წინმსწრები გარემოებების ვიდეოჩანაწერებმა – რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ეროვნული სასამართლოებისთვის და საქმის ნაწილს წარმოადგენდა – აჩვენა, რომ მომჩივნების ქცევა იყო მშვიდობიანი და პასიური. მართლაც, მათ იმპროვიზებული ბანერები წყნარად ეჭირათ ხელში, პოლიციელების ან გამვლელების მიმართ ყოველგვარი აგრესიის გამოვლენის გარეშე და არ იქცეოდნენ ისე, რომ აღნიშნული შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობის დარღვევად (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ).

44. რაც შეეხება მომჩივნების ბანერების შინაარსს – „პანორამა არა, ყლე!“ – სასამართლო სათანადოდ ითვალისწინებს ეროვნული სასამართლოების შეფასებას, რომ მომჩივნების მიერ გამოყენებული ქარგონული ვულგარული სიტყვა იყო „სრული უხამსობა“ და „განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი“ სიტყვა ქართულ ენაში. მართლაც, თავიანთი ქვეყნის სასიცოცხლო ძალებთან, ზნეობის განვითარებად ცნებასთან და ასევე ქართული ენის ენობრივ მახასიათებლებთან უშუალო და მუდმივი კონტაქტის გამო, ეროვნული ხელისუფლების ორგანოები უკეთეს პოზიციაში იყვნენ, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, რომ მოსაზრება გამოეხატათ ზუსტი შინაარსისა და მომჩივნების მიერ თავიანთი შეხედულების გამოსახატად არჩეული ფორმის ქვეყანაში ამჟამად არსებულ ეთიკურ სტანდარტებთან თავსებადობის შესახებ (შედარებისთვის იხილეთ საქმე *Müller and Others*, § 36 და *Handyside-ის საქმე*, § 48, ორივე ციტირებული ზემოთ). თუმცა, სასამართლო იმეორებს, რომ ვულგარული ფრაზების გამოყენება, თავისთავად, არ არის გადამწყვეტი მე-10 მუხლის შესაბამისად შეურაცხმყოფელი გამონათქვამის შეფასებისას, რადგან ეს შეიძლება უბრალოდ სტილისტურ მიზნებს ემსახურებოდეს (იხ. ზოგადი პრინციპები, ციტირებული 37-ე პარაგრაფის ბოლოს, ზემოთ).

45. მათ მიერ გადაწყვეტილებებში მოყვანილი მიზეზების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ზედმეტად გამიჯნეს, მხოლოდ ფორმაზე ფოკუსირებით, სადავო განცხადების ვულგარული ხასიათი მისი კონტექსტისა და ამკარა მიზნისგან (შედარებისთვის იხილეთ საქმე *Ziemiński v. Poland (no. 2)*, no. 1799/07, §§ 44-45, 2016 წლის 5 ივლისი). მათ არ აღიარეს, რომ მე-10 მუხლი გამოიყენება არა მხოლოდ იმ ინფორმაციის ან იდეების მიმართ, რომლებიც აღიქმება დადებითად, ან მიიჩნევა, როგორც უწყინარი ან უმნიშვნელო, არამედ ისეთი ინფორმაციის ან იდეების მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოსთვის ან მოსახლეობის რომელიმე სექტორისთვის (იხ. *Handyside-ის საქმე*, ციტირებული ზემოთ, § 49). ასევე მნიშვნელოვანია, რომ სადავო შეურაცხმყოფელი განცხადება არ ყოფილა გაკეთებული კონკრეტულად რომელიმე პიროვნების ან ინსტიტუტის მიმართ, ამიტომაც ის არ შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხყოფად ან კონკრეტული პირის უმიზეზო შეურაცხყოფად (შედარებისთვის იხილეთ *Skalka-ის საქმე*, ციტირებული ზემოთ, §§ 34, 36 და 40). უხამსი სიტყვა მომჩივნებმა გამოიყენეს როგორც სტილისტური ინსტრუმენტი, ქალაქში მიმდინარე სამშენებლო პროექტისადმი თავიანთი ძალიან მაღალი ხარისხის უკმაყოფილების გამოხატვის მიზნით, ხოლო სადავო ფორმა, რომელიც მათ აირჩიეს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საკუთარი აზრის გამოსახატად, თავისთავად, ვერ იქნებოდა საკმარისი საჯარო მანიფესტაციაზე სიტყვის შესაზღუდად, რომელიც მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხისადმი ყურადღების მიქცევას. ამ მიმართებით, სასამართლო იმეორებს, რომ მან აღმოაჩინა მე-10 მუხლის დარღვევა მრავალ საქმეში, რომელიც ეხებოდა ამკარად ვულგარულ ან/და შეურაცხმყოფელ ენას ან/და ქცევას, მათ შორის, სექსუალური ხასიათის გამოთქმების ჩათვლით, ვინაიდან პროვოკაციული ენა ხელს უწყობდა დებატებს საზოგადოებრივი ინტერესის თემებზე (იხ., მაგალითად, საქმე *Vereinigung Bildender Künstler v. Austria*, no. 68354/01, §§ 8 და 32-38, 2007 წლის 25 იანვარი; საქმე *Mătășaru v. the Republic of Moldova*, nos. 69714/16 და 71685/16, §§ 6-7 და 32-34, 2019 წლის 15 იანვარი; და საქმე *Patrício Monteiro Telo de Abreu v. Portugal*, no. 42713/15, §§ 6-9 და 41-47, 2022 წლის 7 ივნისი).

46. დაბოლოს, სანქციის თანაზომიერებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ ეს არგუმენტი თავიანთი საჩივრების გასამყარებლად, სასამართლოს არ შეუძლია, არ აღნიშნოს, რომ მათი გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების უფლებებში ჩარევა შედგებოდა არა მხოლოდ მათზე დაკისრებული ჯარიმებისგან, რომლებიც საკმაოდ უმნიშვნელო იყო, არამედ პოლიციამ

იმულებით განარიდა ისინი მანიფესტაციის ადგილს, რამაც, როგორც ეს ვიდეოჩანაწერებიდან ჩანს (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ), გავლენა იქონია მათ ქცევაზე. ის ფაქტი, რომ მომჩივნები დაუყოვნებლივ არ განურიდებიათ მანიფესტაციის ჩატარების ადგილისთვის, არამედ სადავო ბანერების გამოფენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, არ შეიძლება ჩაითვალოს გადამწყვეტად. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ, რაც არ უნდა ღმობიერი იყოს სანქცია, მის დაკისრებას იმ გამოხატვისთვის, რომელიც წარმოადგენს ლეგიტიმური საჯარო დებატების ნაწილს, შეიძლება ჰქონდეს არასასურველი მსუსხავი ეფექტი გამოხატვის თავისუფლებაზე (შედარებისთვის იხილეთ *Bumbeș-ის საქმე*, ციტირებული ზემოთ, § 101).

47. ითვალისწინებს რა ყველა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და, კერძოდ, იმას, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნების პროტესტის არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი – რომელიც ემყარება მათი გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებას – შეფასების გარეშე დატოვეს და, შესაბამისად, ვერ წარმოადგინეს საკმარისი მიზეზები ჩარევის აუცილებლობის გასამართლებლად (იხ. პარაგრაფები 43 და 45 ზემოთ), სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას, მე-10 მუხლის გათვალისწინებით.

კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

48. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ზიანი

49. თითოეულმა მომჩივანმა მოითხოვა 100 ლარი (40 ევრო), მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, იმ ჯარიმებზე მითითებით, რომლებიც მათ დაეკისრათ. მათ წარმოადგინეს ჯარიმების გადახდის დამადასტურებელი ქვითრების ასლი.

50. ასევე თითოეულმა მომჩივანმა მოითხოვა 1000 ევრო განცდილი მორალური ზიანისთვის.

51. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნილი თანხები დაუსაბუთებელი იყო საქმის გარემოებებში.

52. სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმეში არსებობს მკაფიო კავშირი მომჩივნებისთვის დაკისრებულ ჯარიმებსა და კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას შორის, წაკითხული მე-10 მუხლის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ის აკუთვნებს თითოეულ მომჩივანს 40 ევროს. აღნიშნულ თანხას უნდა დაემატოს ნებისმიერი გადასახადი, რაც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს.

53. სასამართლო ასევე ადასტურებს, რომ მომჩივნებს მიადგათ მორალური ზიანი, რომლის კომპენსაცია მხოლოდ ძალადობის დადგენით შეუძლებელია. ის მიზანშეწონილად მიიჩნევს თითოეული მათგანისთვის 1000 ევროს მიკუთვნებას ამ საფუძველით. აღნიშნულ თანხას უნდა დაემატოს ნებისმიერი გადასახადი, რაც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს.

ხარჯები და დანახარჯები

54. მომჩივნებმა ჯამში მოითხოვეს 2,549.60 გირვანქა სტერლინგი (GBP – დაახლოებით 2,900 ევრო) სასამართლოს წინაშე მათი ერთ-ერთი ბრიტანელი ადვოკატის მიერ გაწეული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის (იხ. პარაგრაფი 2 ზემოთ). არ იყო წარმოდგენილი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ანგარიშ-ფაქტურების, ვაუჩერების ან რაიმე სხვა დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტების ასლები. მოთხოვნილი თანხა ეფუძნებოდა შესაბამისი ადვოკატის მიერ საქმეზე მუშაობისას დახარჯული საათების რაოდენობას (15 საათი) და ადვოკატის საათობრივ ანაზღაურებას (GBP 150) და დამატებით მოიცავდა მოთხოვნას ადვოკატის მიერ გაწეული საფოსტო, თარგმნისა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ.

55. მთავრობამ უპასუხა, რომ მოთხოვნა იყო დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული.

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმომადგენლის საფასური გაწეულია ფაქტობრივად, თუ მომჩივანმა ის გადაიხადა ან ვალდებულია, გადაიხადოს (იხ. საქმე *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, § 371, 2017 წლის 28 ნოემბერი). წინამდებარე საქმეში მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ დოკუმენტები, რომლებიც აჩვენებდა, რომ მათ გადაიხადეს ან კანონიერი ვალდებულება ჰქონდათ, რომ გადაეხადათ ბრიტანელი წარმომადგენლის მიერ დაკისრებული საფასური ან ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ხარჯები. აღნიშნული დოკუმენტების არარსებობის პირობებში, სასამართლო ვერ პოულობს საფუძველს, რომ დაეთანხმოს, რომ მომჩივნების მიერ მოთხოვნილი ხარჯები და დანახარჯები ნამდვილად იქნა გაწეული (შედარებისთვის იხილეთ სხვა მრავალ წყაროთა შორის და როგორც უახლესი წყარო, საქმე *Women's Initiatives Supporting Group and Others v. Georgia*, N 73204/13 და 74959/13, § 92, 2021 წლის 16 დეკემბერი).

57. აქედან გამომდინარე, ეს მოთხოვნები უნდა იქნეს უარყოფილი.

ამ მოტივით, სასამართლო ერთსულოვნად

აცხადებს საჩივარს მისაღებად;

ადგენს, რომ ადგილი აქვს კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას, მე-10 მუხლის გათვალისწინებით;

ადგენს, რომ არ არსებობს, კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, საჩივრის ცალკე განხილვის აუცილებლობა.

ადგენს,

რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში გადაუხადოს თითოეულ მომჩივანს შემდეგი თანხები, რომლებიც უნდა დაკონვერტირდეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსით:

EUR 40 (ორმოცი ევრო), აღნიშნულ თანხას უნდა დაემატოს ნებისმიერი გადასახადი, რაც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს, მატერიალური ზიანთან დაკავშირებით;

EUR 1 000 (ათასი ევრო), აღნიშნულ თანხას უნდა დაემატოს ნებისმიერი გადასახადი, რაც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს, მორალურ ზიანთან დაკავშირებით;

ზემოხსენებული სამთვიანი ვადის ამოწურვიდან თანხების გადახდის სრულ განხორციელებამდე, ზემოხსენებულ გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება მარტივი პროცენტი იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება საჯარიმო პერიოდში მოქმედ ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რომელსაც დაემატება სამი საპროცენტო პუნქტი;

უარყოფს მომჩივნების მოთხოვნას სამართლიანი დაკმაყოფილების დანარჩენ ნაწილში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს წერილობით ეცნობათ 2022 წლის 15 დეკემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ვიქტორ სოლოვეიჩიკი
სექციის განმწესრიგებელი

სიოფრა ო'ლირი
თავმჯდომარე

დანართი

N	მომჩივნის სახელი	დაბადების წელი
1.	ქ-ნი ნატალია ფერაძე („პირველი მომჩივანი“)	1968
2.	ბ-ნი გიორგი მაქარაშვილი („მეორე მომჩივანი“)	1985
3.	ქ-ნი ელენე მალაშევსკი-ჯაყელი („მესამე მომჩივანი“)	1993
4.	ბ-ნი კონსტანტინე ჩაჩანიძე („მეოთხე მომჩივანი“)	1980
5.	ბ-ნი ვახტანგ ქარელი (მეხუთე მომჩივანი)	1990
6.	ანა მამულაშვილი („მეექვსე მომჩივანი“)	1992
7.	ბ-ნი ირაკლი მგალობლიშვილი („მეშვიდე მომჩივანი“)	1988